№ 41

ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

# ივერია

№ 41

ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1901 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩ, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნეინა ბარბარე რაფაელის ასული ხიმშიაშვილი, ანასტასია რაფაელის ასული კახიძე, კნეინა ელენე რაფაელის ასული ტუსიშვილი, თავადის ასული თეოდოსია რაფაელის ასული ერისთავი, თავადი ნიკოლოოზ გიორგის ძე ხიმშიაშვილი, ვასილი ბესარიონის ძე კახიძე, თავადი გიორგი დავითის ძე ტუსიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ამა თებერვლის 19-სა რიცხვსა პირველნი ძვირფასის მ მისას, ხოლო მეორენი—ძვირფასის სიმამრისას,

## თავად რაფაელ დავითის ძის ერისთავისას.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება დილა საღამოს განსვენებულის სადგომში, თელავში. დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

ანნა ალექსანდრეს ასული მურადოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის მეუღლის

## საჩინო ჰეცრეს ძის მურადოვისას

და სთხოვს მობრძანდნენ პანაშვიდზედ 23 თებერვალს დაბა ცხინვალში. განსვენებულის გვამს დაკრძალვენ შაბათს, 24 თებერვალს, ადგილობრივ სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიაში. (3—35—2)

**არტისტიულ საზოგადოების თეატრი და დარბაზი.**

შაბათს, 24 თებერვალს, წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

## კონცერტი

ორ განყოფილებად.

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ზურამიშვილისა, ქ-ნი ტერიან-ყორღანოვი, კნ. ამირეჯიბისა, ქ-ნი თუღაშვილი ბ ბ-ნნი ვილშაუ, კარგარეთელი, კავსაძე, ხორო და ორკესტრი

## ნ. ს. კლენოვსკის

გამგეობით.

კონცერტის დასასრულ

**საცეკვაო საღამო.**

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ბილეთები ახალ განკარგულებამდე იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეჟირგანოვი,** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი.** შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ზ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ბაღდადური აბრეშუმის თესლი

იაფ-ფასად იყიდება ჩითახოვის ქარვასლაში. მსურველთ ა. მისირიანს უნდა მიჰმართონ. (3—33—3)

## სამკურნალო კაბინეთი დოქტორის

## ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილის და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგანა აქვს. (100—256—21)

**ფოთის სამარხ კასსის გამგეობა** აუწყებს თავისს წევრებს, რომ კვირას, 4 მარტისათვის დანიშნულია **კასსის წევრთა მორიგი კრება.** კრება მოხდება ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში შუადღის 12 საათზედ.

განსახილველი საგნებია:

1, განხილვა 1900 წლის ანგარიშისა;

2, არჩევანები თანამდებობის კაცთა;

და 3, გამგეობის წევრთა დაჯილდოებისა და ბალდახინის შეძენის საქმის გადაწყვეტა. (3—6.—3)

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა კორნეტი თავ. ჯანდიერი ტფილისის გუბერნიის საპოლიციო დარაჯში ოფიცრად.

გადაყვანილ იქმნა გროზნის ქალაქის პოლიციის ბოქაული შავგულიძე კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო სამმართველოს სტოლის უფროსის თანაშემწედ.

ებოძა პროპორშჩიკობა დიდი მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის სახელობის მე-77 ტენგინის ქვეითა პოლკის პოდპრაპორშჩიკს ამაშუყელს.

# ფელეტონი

## ერი და მამული

### I. რა არის ერი?

ერნესტ რენანისა.

(შემდეგი *)

II

ცნობილ თეორეტიკ-პოლიტიკოსთ რომ ვუყუროთ, ერი ყოვლის უწინარეს დინასტია არის, წარმომადგენელი ძველის დაპყრობისა, რომელიც პირველად მიუღია, მერე-კი დავიწყებია ხალხის კრებულსა. მე რომ ვამბობ, იმ პოლიტიკოსთა აზრით პროვინციების შეჯგუფება, დინასტიისა, ომების, ქორწინების, ზავების მიერ მოხდენილი, თავდება იმ დინასტიასთანვე, რომელსაც განუსახავს. მართალია, რომ ახალ ერთა მომეტებული ნაწილი შეუქმნია საფეოდალო დასაწყისიან გვაროვნებასა, რომელიც ნიადაგს შეჰქორწინებია და რომელიც ცენტრალიზაციის გულად ყოფილა. საფრანგეთის საზღვრებს, 1789 წ. ბუნებრივი არაფერი ჰქონიათ, არც მიუცილებელი. ფართო სარტყელი, რომელიც კაპეტიანთ კარმა მიუმატა ვერდენის ზავის ვიწრო სამანსა, ამ კარის პირად შენაძენი იყო. იმ დროებაში, როცა ქვეყნები ჩამოურთმევიათ, არც ბუნებრივ საზღვართა, არც ერთა სიმართლის და არც პროვინციების სურვილის იდეა არა ჰქონიათ. ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის შეერთება აგრეთვე დინასტიის საქმე იყო. იტალიას ერად ყოფა დაუგვიანდა მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელ მფლობელ კართა შორის ერთობის ცენტრი ვერც ერთი გახდა. საოცარი საქმეა, სამეფო ხარისხი **) იმან მიიღო სარდინის ბნელ კუნძულზედ, რომელიც ძლივს თუ ეკუთვნის იტალიას. ჰოლანდია-კი, რომელიც გმირულის გამბედაობის საქმით თავის-თავად გაჩენილა, ქორწინებით შეუერთდა ორანგის კარსა და ნამდვილ საშიშროებაში ჩავარდებოდა, ეს ერთობა რომ შებღალულიყო.

სრულია, თუ არა ასეთი სჯული? საეჭვოა. შვეიცსა და შეერთებულ შტატებს, რომელნიც თანდათანის დართვისაგან შექმნილან, დინასტიური საფუძველი არავითარი აქვთ. ამ საკითხავს არ განვიხილავთ მით, რაც საფრანგეთს შეეხება: ჩვენ ხელთ უნდა ყოფილიყო მომავლის საიდუმლო. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს საფრანგეთის დიდი სამეფო ისე მაღალ ერადი ყოფილა, რომ მისი დაცემის მეორე დღეს, ერმა უმისოდ შეიძლო თავის გამაგრება. მერე კიდევ, მეთვრამეტე საუკუნემ ყველაფერი შესცვალა. კაცი, დამცირების საუკუნეთა შემდეგ, ძველებურს გონებას, თავისის თავის პატივისცემას, საკუთარის სიმართლის იდეას დაუბრუნდა. სიტყვებმა „მამულმა“ და „მოქალაქემ“ თავიანთი აზრი მიიღეს. ამგვარად, აღსრულდა ყოვლად საგმირო საქმე, რომელიც-კი განხორციელებულა ისტორიაში, საქმე, რომელიც შეედრება ფიზიოლოგიაში იმისს ცდასა, რომ სიცოცხლე შერჩეს თავისის პირვანდელის იგივეობით ტვინ და გულ-წართმეულს სხეულსა.

უნდა აღვიაროთ, რომ ერს არსებობა დინასტიურის პრინციპის თვინიერ შეუძლიან და ისიც, რომ დინასტიით შექმნილ ერებს შეუძლიანთ იმ დინასტიას გამოეყვნენ და არსებობა-კი არ მოეშალოთ. ძველი პრინციპი, რომელიც ყურს მხოლოდ მთავართა სიმართლეს ათხოვებს, ვეღარ დაიცვის; დინასტიურ სიმართლეს გარდა, არის კიდევ ერის სიმართლე. ეს ერის სიმართლე რა კრიტერიუმს დავამყაროთ? რა ნიშნით ვიცნოთ? რა ხელ-მოსაკიდის ფაქტისაგან ვაწარმოვოთ?

1. მოდგმისაგანაო, დარწმუნებით ამბობენ მრავალნი. ფეხ-მოუკიდებელია ის ხელოვნური დაყოფა, რომელიც გამომდინარებს ფეოდალობის, მთავართა ქორწინების, დიპლომატთა კრებისაგან. მხოლოდ ხალხთა მოდგმა არის მტკიცე და ფეხ-მოკიდებული. აი ეს აწესებს სჯულიერებას (legitimitè). გერმანიის გვარსა, მაგალითად, ჩემის განგულვებულის თეორიით, ემართლება მიიღოს გერმანობის დაბნეული წევრები, შემოერთებაც რომ არ ითხოვონ. გერმანობის სიმართლე ასეთ პროვინციის მიმართ უფრო ძლიერია, ვიდრე ამ პროვინციის მცხოვრებელთა სიმართლე თავის მიმართ. ამგვარად აჩენენ ერთნაირ პირველ წესიერ სიმართლეს, რომელიც მეფეთა ღვთაებრივს სიმართლეს მიემსგავსება; ერთა პრინციპის ნაცვლად ადგენენ ეთნოგრაფიისას ეს ფრიად დიდი შეცდომა არის, რომელიც ევროპის მოქალაქობრიობას დაჰღუპავს, რომ გაბატონდეს. როგორც ერთა პრინციპი მართალი და სჯულიერია, ისე მოდგმათა პირველწესიერის სიმართლის პრინციპი ვიწრო და საშიშიც არის ჭეშმარიტის წინსვლისათვის.

ძველს ტომსა და ქალაქში, მოდგმის ფაქტს, ვიცით, პირველის რი-

*) იხ. „ივერია“ № 40.

**) სავოის კარს სამეფო ხარისხი შეაძენინა სარდინის ფლობამ (1720 წ.).

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 21 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ახლად გარდაცვალებულის პოეტის თავ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი მელიქიშვილი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გაკელი, ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ქართველი ინტელიგენცია და სხვანი. პანაშვიდის შემდეგ ბევრმა გამოსთქვა სურვილი, რომ განსვენებული პოეტი აქ, ტფილისში იქმნას დასაფლავებული. გუშინვე ამის თაობაზედ დეპეშა გაეგზავნა თელავში განსვენებულის ოჯახს.

*** გუშინვე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა მელიქიშვილმა თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა თავ. რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო.

*** გუშინ-წინ, 20 თებერვალს, „ტფილისის არტისტიულ საზოგადოების" თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილის მოთავეობით გამართულ იქმნა ქართულ-რუსული წარმოდგენა და შემდეგ ცოცხალი სურათები, რომელსაც ქართული და ევროპიული ცეკვა მოჰყვა. ქართულად წარმოადგინეს „ხანუმა" კომ. ა. ცაგარლისა, ხოლო რუსულად ა. გარტმანის 2 მოქმედებ. კომედია „До поры до времени". პირველში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი არტისტნი: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ტ. აბაშიძე და ქ-ნი ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი და კანდელაკი, ხოლო მეორეში სცენის მოყვარენი: ქ-ნნი ე. ა. ხატისოვისა, ნ. დ. ლებედევისა, კ. ვ. პოპოვისა და ბ ნნი პ. ა. ოპოჩინინი და ვ. ლ. ვეიმანი. როგორც ქართულმა, ისე რუსულმა პიესამ ძალიან ცოცხლად ჩაიარა და მოთამაშენი მრავალჯერ გამოიწვიეს. განსაკუთრებული ყურადღება-კი მიიპყრეს: ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ, ქ-ნმა ხატისოვისამ, ბ-ნმა აბაშიძემა და ბ-ნმა ოპოჩინინმა. ცოცხალმა სურათებმაც დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. წარმოდგენაზედ მობრძანება ინება თვით მთავარ-მართებელმა თავადმა გოლიცინმა მეუღლითურთ, რომელმაც ქართულს დრამატიულს საზოგადოებას იქვე 1,000 მან. შესწირა. თეატრი სავსე იყო. შემოსავალი სამას თუმნამდეა.

*** შაბათს, 24 თებერვალს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ ჩვეულებრივი კონცერტი გაიმართება.

*** აღმოსავლეთ კავკასიის სათევზო სამრეწველო საზოგადოების მმართველობისაგან კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის მომწყობ-მომმართველ კომიტეტში წარმომადგენლებად დანიშნულ იქმნენ: მარკოზ დოლუხანოვი და მდივანი საზოგადოებისა იასონ ივანეს ძე ნათაძე.

*** ნიკოლოოზ, სოლომონ და სხვ. ორჯონიკიძეთა და შოშიტაიშვილის საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი 6 მომავალს მარტს განიხილავს; ორჯონიკიძეებსა და შოშიტაიშვილს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ჰბრალდებათ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან 1898 წელს 50,000 მანეთის მოპარვა.

*** 20 თებერვალს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შემდეგი დეპეშა მიუღია მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დეპარტამენტის ვიცე-დირექტორისაგან: „კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის პროგრამა ამ მოკლე ხანში იქნება დამტკიცებულიო".

*** დღეს, 22 თებერვალს, ქალაქის საბჭოს სხდომა ექმნება წარსულ ორშაბათის კრებაზედ დარჩენილ საქმეთა განსახილველად.

*** სააქციზო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ იმ ტრაქტირებში, რომელთაც მაგარის სასმელებით ვაჭრობის უფლება აქვთ და რომელთა მახლობლადაც მუშები სცხოვრობენ, $9^1/_2$ საათის შემდეგ ვაჭრობა აღკრძალონ.

*** აზრადა აქვთ გააწესრიგონ რკინის გზებზედ ფოსტის გადაზიდვის საქმე. ამისათვის გზათა სამინისტროში განსაკუთრებული კომისია შესდგება.

*** ბათუმის დედათა გიმნაზიაში ცეცხლის გაჩენის გამო შეჩერებული სწავლა 1-ლ მარტს დაიწყება. დედათა გიმნაზია დროებით მოთავსებული იქმნება ვაჟთა გიმნაზიის შენობაში.

*** რადგანაც ცოცხალის თევზის გადასაზიდავად რკინის გზებს განსაკუთრებული ვაგონები არა აქვთ, ამ ჟამად ასეთ თევზს რკინის გზებით ნაკლებად ეზიდებიან. ამის გამო გზათა სამინისტროს აზრადა აქვს ცოცხალის თევზისათვის განსაკუთრებული ვაგონები მოაწყოს.

*** სამშაბათს, 20 თებერვალს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურზედ ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენის დირექტორის ბ-ნ ბეკენდორფისათვის 1200 მან. ბეკენდორფი ავჭალიდგან ჩამოსულა ტფილისში ახალშენის მასწავლებელთათვის ჯამაგირების მისაღებად. საღამოს ისევ დაბრუნებულა და ტფილისის სადგურზედ, როდესაც მატარებელში შესულა, ვიღაცას ამოუცლია ეს ფულები.

*** აზრადა აქვთ სოჩის სამეურნეო საზოგადოებასთან დააარსონ სამეურნეო იარაღისა და თესლეულობის საწყობი.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულების წინააღმდეგ საქონელს ხშირად ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას ჰყიდიან ხოლმე, მაგ., ავლაბარსა და კახეთის ქუჩაზედ. ამისათვის ქალაქის საყასბოს ბეითალს უთხოვნია ქალაქის მოურავისათვის, იშუამდგომლეთ ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ აღკრძალულ იქმნას ქალაქის საყასბოსთან არსებულ საქონლის ბაკის გარდა საქონლის ყიდვა სხვა ადგილას.

*** სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ განსახილველად პროექტი ამიერ-კავკასიაში ბეითალთა ახალ შტატების დაარსებისა.

*** სხვა-და-სხვა დაწესებულების ქაღალდების დამტარებელთა და ბარგის მზიდველთ განუზრახავთ ტფილისში საკუთარის კანტორის დაარსება. ამ კანტორას დიდი მნიშვნელობა ექმნება დამტარებელთა და ბარგის მზიდველთათვის, რადგან კანტორის თანხიდგან შემწეობა მიეცემა იმათ, ვისაც მუშაობა აღარ შეეძლება, ან სხვა რამ უბედურება შეემთხვევათ.

*** თელავი. 9 თებერვალს, დედათა წმ. ნინოს სადგომში მოსწავლე ბავშვთა წარმოდგენა იქმნა გამართული. მოსწავლეებმა შეასრულეს თითო მოქმედებიანი პიესა ქართულადა და რუსულად. დამსწრეთ ძალიან მოეწონათ წარმოდგენა. ანტრაქტების დროს მოსწავლეთა ხორომ მშვენივრად შეასრულა რამდენიმე ქართული და რუსული სიმღერა. წარმოდგენას დაესწრნენ საქველმოქმედო საზოგადოების წევრნი და მოსწავლე ქალების დედ-მამა.

*** გუშინ ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ავჭალის სადგურიდგან დამით ვიღაც ბოროტ განმზრახველთ მოუპარავთ ფული. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ყუთში 669 მანეთი ყოფილა. ეჭვი არავიზედ არა აქვთ; ყოველივე ღონისძიებაა მიღებული ქურდების აღმოსაჩენად.

*** სამშაბათს, 20 თებერვალს, სასახლის ქუჩაზედ ფრანგთა სანავთოსნო საზოგადოების სამმართველოში უეცრად გარდაიცვალა ამ საზოგადოების ტფილისის აგენტი 60 წლის მოხუცი ბერძენთა ქვემევრდომი ოტტო ივანეს ძე ბუშე.

*** ქიზიყი. იანვრის ბოლო რიცხვებიდამ თებერვლის 13-მდე ისეთი თბილი ამინდები იყო და ხან ისეთი შუშუნა წვიმაც მოდიოდა, რომ ახალგაზაფხულს მოგაგონებდათ, რის გამოც ძალიან ადრე გამოიტყუა და გაიშალა შვინდი, ნუში და სხვა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მიხაილოვკა, (სუხუმის ოლქი). ს. მიხაილოვკა ქ. სუხუმიდგან ჩრდილოეთით მდებარეობს 8—10 ვერსის მანძილზედ. წინედ, როდესაც აქ აფხაზები სცხოვრობდნენ, ამ სოფელს სახელად „გუმა"-ს უწოდებდნენ, მაგრამ 1879 წლიდგან სახელი გამოეცვალა, რადგანაც დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ნებართვით აქ ტრაპიზუნდიდგან ბერძნები გადმოსახლდნენ.

სოფელს შეადგენს სულ 132 მოსახლე, რომელთა შორისაც ორი კომლი მეგრელია. თითქმის ყველა აქ მცხოვრები მიწის მუშაა; მოჰყავთ სიმინდი, მაგრამ ძლიერ ცოტა, სახნავ-სათესი ადგილების უქონლობის გამო 5—6 თვეს არა ჰყოფნით; შემდეგ-კი ახლო-მახლო სოფლებში ყიდულობენ და ზოგი-რად სუხუმშიაც ფუთს სიმინდს 70—80 კაპ. სიმინდს შემდეგ ერთად-ერთი ამათი ცხოვრების სახსარი თამბაქოა, რასაც ადგილი და ჰავერი სრულიად ხელს უწყობს, მაგრამ რა გამოვიდა? ამათი ბედ-იღბალი სუხუმელ მეთამბაქოების ხელშია; საწყლები იძულებულნი ხდებიან თითქმის ერთის გვარის დანერგილი თუთუნი ამათ მიჰყიდონ, რასაკვირველია, იმ ფასად, როგორსაც ამ ვაჟბატონებსა ჰსურთ და აიღონ მათგან ბე, თორემ სხვა საშვალება არა აქვთ: თუთუნი დამუშავებასა თხოულობს და მუშები-კი ფულს. ამ სოფელში ერთად ერთი წისქვილი იყო და ისიც 27 იანვარს გადიბუგა. ცეცხლი შიგნიდგან თურმე გაჩნდა და მძინარე მეწისქვილემ ძლივს-და გამოასწრო. დაეწვა საბრალოს, თუ რამ გააჩნდა, და, როგორც ამბობს, 300 მანეთი ფულიც მეორე დღეს ნახეს, დადუღებული ხუთ მანეთიანი ოქროები. ეს ზარალი სოფლელებისათვის დიდად საგრძნობელია, რადგანაც 10—15 ვერსის მანძილზედ წისქვილი არ მოიპოვება. იქვე, ახლო, ერთ-თვალიანი წისქვილი ტრიალებს, მაგრამ რას უნდა გახდეს ერთ-თვალიანი წისქვილი, როდესაც მას რამდენიმე სოფელი შესცქერის და სინამდის ახალი აშენდებოდეს, იქამდის-კი ბევრჯელ დაგვიზამთრდება გაგვიზაფხულდება. ზარალი 1,200 მანეთს აღემატება.

24 იანვარს აქ სოფლის მოხელეების არჩევნები მოხდა. ხალხი ორ დასად გაიყო; უმეტესი ნაწილი გაიძახოდა — „ისევ ძველი მამასახლისი იყოსო", და 20—25-მდე კაცი-კი თანახმა არ იყო, არა, არ გვინდაო. ას-

გის უპირატესობა ჰქონდა. ძველი ტომი და ქალაქი მხოლოდ გვარის გავრცელებას წარმოადგენდნენ. სპარსეთსა და ათინაში ყველა მოქალაქე მეტად თუ ნაკლებად ახლო ხარისხით ნათესავები იყვნენ. ბენი-ისრაელთა შორისაც იგივე იყო. იგივეა ახლაც არაბის ტომთა შორის. ათინით, სპარტით, ისრაელის ტომით გადვიდეთ რომის საბრძანებელში. იქაური მდგომარეობა სულ სხვაა. ეს ჯერ ძალადობით, შემდეგ ინტერესით შენახული სრულიად სხვა და სხვა ქალაქებისა და პროვინციების დიდი გროვა მოდგმის იდეას მძიმე კვეთებას აძლევს. ქრისტიანობა თვისის მსოფლიო და სრულის ხასიათით ღონივრად ამუშავებს ამავე აზრსა. რომის საბრძანებელთან ვიწრო კავშირს გასკვნის და ამ ორ შეუდარებელ გაერთიანების მოქმედთა ღვაწლით ეთნოგრაფიული საბუთი კაცობრიობის საქმეთა მმართველობას საუკუნოებით მოშორდა.

ბარბაროსთა შემოსევა, გარეგნობის მიუხედავად, ამ გზაზედ ერთი მეტი ნაბიჯი იყო. ბარბაროსთა სამეფოების თარგებს ეთნოგრაფიული არაფერი ჰქონიათ; მათ განაგებდა თავს დამხსმელთა ძალა ანუ ჟინი. მათ მიერ დამორჩილებულ ხალხთა მოდგმა განსხვავებულს არაფერს წარმოადგენდა. კარლო დიდმა, რომისა არ იყოს, თავისებურად შეჰქმნა სხვა და სხვა მოდგმათაგან შეერთებული საბრძანებელი. ვერდენის ზავის ავტორებს, რომელთაც ორი დიდი ხაზი ჩრდილოეთით სამხრეთამდე უშფოთრად გავლეს, არაფრად ედარდებოდათ მოდგმა იმ ხალხთა, მათ მარჯვენით ანუ მარცხნით რომ იმყოფებოდნენ. საშუალ საუკუნეში მომხდარი საზღვართა მოძრაობა ყოველის ეთნოგრაფიულის მოსწრაფების გარეშე იყო. თუ კაპეტიანთ კარით მოყოლებულმა პოლიტიკამ მიაღწია იქამდე, რომ ცოტა-ცოტად შეჯგუფა საფრანგეთის სახელით ძველის გალლიის ყოველი მიწა-წყალი, მართლა იმ მოსწრაფებით-კი არ ყოფილა, რომ თავიანთ მონათესავეებს შეერთებოდნენ, დოფინეს, ბრესს, პროვანსს, ფრანშ-კონტენს საერთო შთამომავლობა აღარ ახსოვდათ. ყოველის გალლის შემგნებელობა ქრისტეს აქეთ მეორე საუკუნითვე ისპობა და მხოლოდ სამეცნიერო მხედველობით იპოვეს ჩვენს დროში თვალის უკუ გადავლებით გალლის ხასიათის ინდივიდუალობა.

ეთნოგრაფიული მოსაზრება ვერაფრად გამოდგა ახალ ერთა შედგენაში. საფრანგეთი კელტ-იბერ-გერმან-ნარევია. გერმანია გერმან-კელტ-და სლავ-ნარევია. იტალია იმის თანა ქვეყანაა, სადაც ეთნოგრაფია ყველაზედ უფრო აწეწილია. გალლები, ეტრუსკები, პელასგები, ბერძნები, ბევრი სხვა ელემენტიც რომ არ ვახსენოთ, გამოურკვეველის შერევნით იხლართებიან. ბრიტანიის კუნძულები ერთობლივ წარმოადგენს გერმანიისა და კელტის სისხლის ნარევს, ხოლო რაოდენ წილად, ერთობ განუსაზღვრელია.

ჰეშმირიტებაა, რომ წმინდა მოდგმა არა არსებობს და რომ ეთნოგრაფიულ ანალიზზედ პოლიტიკის დამყარება მისი ოცნებით ტარებაა. ყოვლად კეთილშობილი ქვეყნები ინგლისი, საფრანგეთი, იტალია ყოვლად სისხლ-ნარევია. ამის მიმართ გერმანია წარმოადგენს თუ არა გამონაკლისა? არის თუ არა იგი წმინდა გერმანთ ქვეყანა? რა მაცდური მოჩვენებაა! მთელი სამხრეთი გალლ-ნარევია. მთელი აღმოსავლეთი ელბით მოკიდებული სლავ-ნარევია. მართლა წმიდანი არიან თუ არა ის ნაწილნი, რომელნიც ნამდვილად მიაჩნიათ? ჩვენ აქ შევეხებით ერთ სარკვევთაგანს, რომლის თაობაზედ ნათლად მოსაზრება და უგულისხმოების მხილება მეტად საჭიროა.

მოდგმათა შესახებ ბაასი დაუსრულებელია, იმიტომ რომ სიტყვა მოდგმა მეისტორიე ფილოლოგებს და ათროპოლოგ ფიზიოლოგებს ორის სრულიად სხვა და სხვა აზრით აქვთ აღებული. ანთროპოლოგთათვის მოდგმას იგივე აზრი აქვს, როგორიც ზოოლოგიაშია; იგი აღნიშნავს ნამდვილ შთამომავლობას, სისხლით ნათესაობას. ენებისა და ისტორიის შესწავლა ისე არა შვრება, როგორც ფიზიოლოგია. მოკლე კეფიანთა და გრძელ-კეფიანთ სიტყვებს ალაგი არ ეძლევათ არც ისტორიაში და არც ფილოლოგიაში. იმ კაცთა ჯგუფში, რომელსაც შეუქმნია არიელთა ენები და დისციპლინა, მოკლე-კეფიანები და გრძელ-კეფიანები რეულან. მეტადრე უნდა ვთქვათ იმ ჯგუფისთვის, რომელსაც სემიტთა ენები და ხსენებული წესი შეუქმნია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცთა ზოოლოგიურნი დასაწყისნი მეტის-მეტად წინამორბედობენ კულტურის, მოქალაქობრიობის, ენის დასაწყისთა. პირვანდელ არიელთა, სემიტთა და თურანელთ ჯგუფებს, ფიზიოლოგიური ერთობა არავითარი ჰქონიათ. ეს შეჯგუფება ისტორიული ფაქტია, რომელიც მომხდარა ცნობილ დროს, ვთქვათ, 15 ანუ 20 ათასის წლის წინად, მაშინ, როდესაც კაცთა ზოოლოგიური დასაწყისი უშველებელ წყვდიადში იკარგება. რასაც ფილოლო-

ტყდა საშინელი ყვირილი, ღანძღვა და ერთი ვაი-უშველებელი და, თუ მამასახლისს დროზედ არ დაუშალა ყრილობა, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა! ბოლოს მაინც უმეტესობამა სძლია და ისევ ძველი მამასახლისი დარჩა. აქ არის ვაჟების სამინისტრო ორ-კლასიანი სასწავლებელი და დედათა სამრევლო ერთ-კლასიანი სკოლა.

წელს აქეთ თითქმის სულ არ არის ზამთარი; ტაროსი მშვენიერი დგას და, იმედია, ამას იქით უკეთესი იქნება, მაგრამ ამდენი ავად-მყოფობა ჯერ არავის ახსოვს: ისე კვირა არ გავა, რომ ამ წუთი-სოფელს სამი-ოთხი არ გამოესალმოს. მკურნალის ხსენება-კი არსად არის!

ილიკო მთავარანგელოზელი

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ბოტას ჯარიდგან ერთი კაცი გამოქცეულა, სტანდერტონში მისულა და უამბნია, რომ 10 თებერვალს ბოტამ თავისი ჯარი შეკრიბა და არწმუნებდა მტერს არ დამორჩილებოდნენო: საქმე საშიში არ არის, ამერიკელები დამოუკიდებლობისათვის ექვს წელიწადს იბრძოდნენ, მაგრამ ღმერთი შეეწიათ და გაიმარჯვესო.

„სანამდის ჩემს მხედრობაში 500 კაცი მაინც იქნება, ბრძოლაზედ ხელს არ ავიღებ, მტრის წინააღმდეგ მხნედ წარვუძღვებიო,—უთქვამს ბოტასა“. ბურებმა ამაზედ ის თურმე უპასუხეს, რომ ინგლისელებმა საცხოვრებელი სახლები მთლად მოუოხრეს, საქონელი დასტაცეს, სურსათი გაუხანაგეს, ტყვია-წამალი აღარა აქვთ. ბევრს ჩვენგანს ექვს-ექვსი სროლა ტყვია-წამალი-და დაჰრჩა და როცა გამოგველევა, რაღა უნდა ვქნათო. ბოტამ თურმე უთხრა: ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა, უთუოდ შეგვაძლებინებს, რომ ბრძოლა განვაგრძოთო.

სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან აგრეთვე, რომ ორანჟეს მდინარეზედ გადასვლის დროს დევეტმა 100,000 სროლა ტყვია-წამალი დაჰკარგათ. და მართლაც, მას შემდეგ, რაც ზღვასთან მისვლა-მოსვლა გაუძნელდათ ბურებსა, საომარ იარაღისა და საზრდოსის მიღება ძლიერ უჭირდებათ, ნაკლებულობას ვეღარ ივსებენ. ის, რაც დავლათ ჰრჩებათ რკინის გზებზედ მატარებლების გაძარცვის დროს, ეჭვი არ არის, ყველგან და ყველა რაზმებს არ ეყოფათ და ახალი საზრდოსი და იარაღი-კი არსაიდგან მოსდით. პარტიზანული ბრძოლა რკინის გზის ლიანდაგებსა და სხვა გზებზედ ინგლისელებს ერთობ დიდს ზარალს აძლევს; ამას ამტკიცებს თუნდ მარტო ის გარემოება, რომ ამ მოკლე ხანში იოჰანნესბურგის მახლობლად ბურებმა მთელი მატარებელი ხელთ იგდეს და რაც-კი რამ სურსათი მიჰქონდათ ინგლისელებს, წაიღეს. ბოტას ნათქვამი და ეს უკანასკნელი გარემოება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ინგლისის მიერ გავრცელებული ბოლოს დროის დეპეშები, ვითომ-და ბოტას სურვილი განეცხადებინოს — დავმორჩილდებითო, ტყუილია.

— პორტ-ელისაბეტიდგან იტყობინებიან,—ერთს ტყვე-ბურს უპოვნეს პროკლამაცია, რომლითაც 14 იანვარს გენერალს დევეტსა და პრეზიდენტს შტეინს კაპის ახალშენის მცხოვრებთათვის მიუმართნიათ. აი, მოკლედ შინაარსი ამ პროკლამაციისა:

„ვაცნობებთ ყველას, რომ არც განათლებულ ერთა საომარს წესსა და არც ჟენევის კონვენციის პირობებს ინგლისელები არ ასრულებენ; იგინი სამკურნალო რაზმებსაც-კი არა ჰზოგვენ, მკურნალებს ატყვევებენ და სხვა მხარეს ასახლებენ, რომ ამ რიგად დაჭრილსა და ტყვე ბურებს მკურნალობის საშუალება და საღსარი სრულიად მოუსპონ. უთუოდ ეს ჟენევის კონვენციით აღკრძალულია. ატყვევებდნენ და ასახლებდნენ აგრეთვე ისეთს მცხოვრებლებსაც, რომლებიც ომში არავითარს მონაწილეობას არ იღებდნენ, ნეიტრალიტეტს იცავდნენ. ჩუმად აგზავნიან უჩადთა ბრბოს და ბურების მამულსა და ქონებას აკლებინებენ. ბურების წინააღმდეგ ადგილობრივნი მცხოვრებნი და კაფრები საამხედრეს და ომშიც გაიყვანეს.

არ ერიდებიან და დღემდის ტყვეთ მიჰყავთ დედაკაცები და ბავშვები, მოხუცნი და ავადმყოფნი. არავითარს ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ ბევრი ამ დედაკაცთაგანი საშიშად ავად არის და მოვლის მაგივრად, ისრევე სასტიკად ეპყრობიან, როგორც ჯანმრთელებს. ამის გამო მრავალი ამათგანი იმსხვერპლეს ინგლისელებმა.

თავისს აფიცრების ნებართვით ჯარის-კაცები არამც-თუ სასტიკად და ცუდად ეპყრობოდნენ დედაკაცებსა და ბავშვებსა, ხშირად შეურაცხყოფდნენ ხოლმე კიდეც. მოხუცი დედაკაცები, ოჯახის პატრონი დედაკაცები და ხშირად ბავშვებიც-კი უზომო შეურაცხყოფას ითმენდნენ ინგლისელებისაგან. ინგლისელები ქვეყანას ატყობინებენ, რომ რესპუბლიკები დავიმორჩილეთ, ომი გათავებულია; დარჩა მხოლოდ ორიოდ-სამი ბრბო უჩადლებისა, რომლებიც არა გვმორჩილდებიან და არც თუ რაიმე ანგარიშს აძლევენ თავიანთს თავს, თუ როგორ იქცევიანო. მაგრამ ყველა ეს სიცრუეა! რესპუბლიკები ჯერ არ დამარცხებულან; ომი არ გათავებულა; მათი მხედრობა ისევ ძველის სარდლების ხელშია, რომლებიც ორთავე მთავრობის წინაშე პასუხის-მგებელნი არიან.

რობერტსისა და კიტჩენერის თქმით, ეჭვი არ არის, ბურების ჯარი უჩადთა ბრბოდ არ გადიქცევა და არც თუ ომი გათავდება, აქაო-და იმათ ესა ჰსურთ; ბრძოლა არ შეწყვეტილა და იგი არც თუ შესწყდება, სანამ პირში სული გვიდგას.

როდის იყო ეგ, რომ ომი გათავდა? იქნება სპიონ-სკოპპის შემდეგ? ან იქნება პაარდებერგის შემდეგ? იქნება პრეტორიისა და ბლუმფონტეინის დაჭერის შემდეგ? ან იქნება დევედსდორპისა და კომიგანდოს ბრძოლის შემდეგ, როდესაც ინგლისელები მთლად დამარცხდნენ და პირი იბრუნეს?

ამის გამო, ჩვენის ჯარების ერთს ნაწილს კაპის ახალშენში ვგზავნით, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ ომი იქ გადავიტანოთ, არა, ჩვენ გვინდა მხოლოდ ინგლისის მხრივ სასტიკს ზომებს ჩვენი შევაგებოთ.

ვაფრთხილებთ ინგლისელს აფიცრებს, რომ, თუ ამიერიდგან მაინც არის ორსავე რესპუბლიკაში კერძო კაცთა ქონების განადგურებასა და მოოხრებას არ შესწყვეტენ, ჩვენც ვეცდებით შური ვძიოთ და ყველა ინგლისელს, რომელიც კი კაპის ახალშენში სცხოვრობს, ისრევე მოვეპყრათ, როგორც ინგლისელები ჩვენ გვეპყრობიან.

მაგრამ რომ ეს გაზვიადებულად არავინ მიიღოს და მართლის ადგილას ჭორები არ ავრცელოს, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ ამ მხრივ ინგლისელებს არასოდეს არ წავბაძავთ და დედაკაცებსა და ბავშვებს დევნას არ დავუწყებთ. კაპის ახალშენში მცხოვრებ ჩვენ მოძმეთაგან ჩვენ არაფერს ვთხოულობთ; მივმართავთ მხოლოდ როგორც მათ, აგრეთვე მთელს განათლებულს კაცობრიობასა და ვთხოვთ დაგვეხმარნენ და ქრისტიანობისა და განათლების სახელით მოსპონ ის საზიზღარი, ბარბაროსული საშუალებანი, რომლებსაც ინგლისი ხმარობს. ჩვენ მხოლოდ ვლოცულობთ მარად, რომ უფალმან ღმერთმან მამათა ჩვენთამან ამ მწუხარებაში არ დაგვტოვოსო“.

## დამაკვირდი

ჩვენ თვითონ რომ ცუდი არა გვჭირდეს-რა, სხვისი ცუდი არ გაგვიხარდებოდა.

ფენელონი

* * *

ერთს რომ სახლი ეწოდეს, მეორე ხელს ითბობს. ესეთია ეს წუთის-სოფელი.

ინდოური ანდაზა

* * *

ცოტა იკმარო, ძნელია; უფრო ძნელია იკმარო ბევრი.

მარი ეშენბახი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად შეერთებულ შტატებში მეტად საყურადღებო ცნობები შეუკრებიათ იქ მცხოვრებ ინდიელთა შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, ინდიელთა რიცხვი მეტად შემცირებულა. ოდესღაც მათი რიცხვი რამდენსამე მილიონს აღემატებოდა, დღეს-კი შეერთებულ შტატებში სულ 249,273 სული-ღა სცხოვრობს. აქედგან 133,382 კაცს მფარველობას უწევს განსაკუთრებული, ეგრედ წოდებული ინდიელთა დირექცია. ეს დირექცია ზრუნავს ინდიელთა საჭიროებისათვის, ასახლებს მათ ახალ ადგილებზედ, სახლებს უშენებს. დანარჩენს ინდიელებს მკვიდრი ცხოვრება არა აქვთ, ერთი ადგილიდგან მეორეში გადადიან და ასე ატარებენ თავიანთ დღეებს. საყურადღებოა მოვიხსენიოთ აქა, რომ თეთრ-კანიანთა და ინდიელთა შორის ისეთი სიძულილი არ არსებობს, როგორც ზანგებსა და თეთრ-კანიანთა შორის. თეთრ-კანიანნი ხშირად თხოულობენ ინდიელთა ქალებს, ან იმათში ათხოვებენ თავიანთ ქალებს. თვით მთავრობა პენსიას უნიშნავს იმათ, ვინც ინდიელ ქალებს თხოულობს, ან ინდიელს სთხოვდება. თითქმის ყველა შტატში შეხვდება კაცი „მეტისებს“ ანუ ინდიელისა და თეთრ კანიანის შთამომავლებს. ნიუ-იორკში თვით არისტოკრატიის შორისაც შეხვდებით ასეთს შთამომავალს.

* * *

გლაზგოს უნივერსიტეტი (შოტლანდიაშია) ამ ზაფხულს 450 წლის იუბილეის დღესასწაულობს. თითქმის ხუთი საუკუნეა, რაც ეს უნივერსიტეტი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი შესანიშნავი კაცი მიუცია შოტლანდიისა და ინგლისისათვის. 1864 წელს უნივერსიტეტისათვის ახალი შენობა აუგიათ, რაზედაც 5 მილიონ მანეთამდე დაუხარჯნიათ. დღეს ამ უნივერსიტეტში 2000 სტუდენტია, აქედგან 248 ქალი. პროფესორთა შორის ყველაზედ მეტად ცნობილია ლორდ კელვილი (ვილ. ტომსონი), შემდეგ რამსეი, მერრეი, კლელანდი და სხვანი. ამ პროფესორებს წელიწადში 12 ათასიდგან 16 ათას მანეთამდე ეძლევათ. უნივერსიტეტთან წიგნთ-საცავია, რომელიც 150,000 ტომს შეიცავს, მუზეი, ობსერვატორია და სხვა. უნივერსიტეტმა დღესასწაულისათვის მრავალ უნივერსიტეტსა და მეცნიერს გაუგზავნა მოსაწვევი ბარათები.

* * *

ამას წინად პარიჟის უკვდავთა აკადემიაში ერთი ადგილი განთავისუფლდა. ამ ადგილზედ ჰერცოგი ბროლიი იყო, რომელიც ამას წინად გარდაიცვალა. კანდიდატად ასახელებდნენ ფანტასტიურ რომანების მწერალს ჟიულ ვერნს. როდესაც მოხუცს მწერლისათვის ეს ამბავი უცნობებიათ, ვერნს მადლობა გადაუხდია, მაგრამ წევრობაზედ უარი უთქვამს. 73 წლის კაცისათვის, უთქვამს, ცოტა გვიანაა აკადემიაში შესვლა; ეს აკადემია თუმცა უკვდავად ჰყოფს კაცს, მაგრამ სიკვდილისაგან-კი არ იხსნისო.

* * *

პარიჟის საერო სტამბაში იბეჭდება ამ ჟამად საყურადღებო თხზულება: „ბეჭდვითი საქმის ისტორია საფრანგეთში“. სულ ხუთი ტომი გამოვა. ეს გამოცემა იმითია საყურადღებო, რომ მეტად ძვირფასი და მშვენიერი გამოცემა იქმნება, მრავალის სამაგალითო სურათით შემკული. ეღირება ხუთი ტომი 500 მანეთად.

* * *

საოცარის სისწრაფითა მდიდრდებიან თურმე ალიასკაში ახლად მისულნი. ამ ერთის წლის წინად ერთი ღარიბი ოჯახი წასულა იქ ბედის საცდელად და ოქროს საძებნელად. მალე ამ ოჯახის წევრთ მეტად მდიდარი ოქროს მადანი აღმოუჩენიათ; დღეში 4-დგან 5 ათას მანეთის ოქროს იძენდნენ თურმე. ეხლა ამ მადანში ოდესღაც ღარიბ ოჯახს ოთხ მილიონ მანეთს აძლევენ, მაგრამ ისინი დიდს უარზედ არიან თურმე.

---

გიურად და ისტორიულად გერმანიის მოდგმას ეძახიან, იგი, ნამდვილად კაცის სახის კარგად განსხვავებული გვარია. მაგრამ არის თუ არა იქ გვარი ანთროპოლოგიურის აზრით? რასაკვირველია, არა. გერმანის ინდივიდუალობის მოვლინება ისტორიაში მოხდა მხოლოდ სულ რამდენიმე საუკუნით ქრისტეს უწინარეს. მანამდე სლავებთან ერთად სკვითების განურჩეველ დიდ კრებულში არეულთ საკუთარი ინდივიდუალობა როდი ჰქონიათ. ინგლისელს მთელს კაცობრიობაში გვარიანი სახე ატყვია. უსწოროდ რომ ეძახიან ინგლეელ საქსონების *) მოდგმას, მისი სახე არც ცეზარის დროინდელი ბრეტონია, არც ჰენგისტის დროინდელი ინგლეელ საქსონი; არც კნუტის დროინდელი დანიელი, არც ვილჰელმ დამპყრობელის დროინდელი ნორმანი; იგია ყველა იმათგან გამომავალი. ფრანგი არც გალლი არის, არც ფრანკი, არც ბურგონდელი. იგია გამოსული იმ დიდის ქვაბიდგან, რომელშიაც, საფრანგეთის მეფის მოთავეობით, ერთად დაუდუღებიათ ყველა სხვა-და-სხვა ელემენტები. ჟერსეს და გერნესეს მცხოვრები არაფრად განირჩევა შთამომავლობის მიმართ მეზობელის მხრის ნორმანის ხალხისაგან. მეთერთმეტე საუკუნეში ყოვლად გამჭვრეტი თვალიც-კი ვერ შეამჩნევდა გარეგან განსხვავებას რუსხმულის ორთავ კიდეზედ. ფილლიპე-ავგუსტო ამ კუნძულებს დანარჩენ ნორმანდიასთან ერთად უმნიშვნელო გარემოებით ღებულობს. ეს ორი ხალხი, ერთმანერთისაგან თითქმის 700-ოდე წლით გაყოფილი, არა თუ ერთმანერთის უცხო შეიქმნა, არამედ ერთმანერთის უმსგავსურიც. მოდგმა, როგორც ჩვენ, სხვა მეისტრიეთ გვესმის, რაღაც ისეთი რამ არის, რაც კეთდება და ხდება. მოდგმის შესწავლა თავი-და-თავია იმ მეცნიერისათვის, რომელსაც საგნად გიუხდია კაცობრიობის ისტორია. ინსტიქტურ შემგნებელობას, რომემელსაც ევროპის რუკა დაუსრულებია, არავითარის მოდგმისთვის ყურადღება არ ჰქონია მიქცეული და ევროპის პირველნი ერნი არსებითად სისხლნარევნი ერნი არიან.

მოდგმის ფაქტი, პირველად უმთავრესი, თან და თან ჰკარგავს თავისს უპირატესობას. კაცობრიობის ისტორია არსებითად განირჩევა ზოოლოგიისაგან. იქ მოდგმა სრულიად არ არის, როგორც მხვრელთა და კატის გვართა აქვთ, და არც ემართლებათ ქვეყნად იარონ, რათა ხალხთა კენჩხოები სინჯონ, მერმე ყელში წააფრინდნენ და უთხრან: „შენ ჩვენის სისხლისა ხარო, ჩვენ გვეკუთვნიო“. ანთროპოლოგიურ ხასიათებს გარდა, არის გონება, სამართალი, ჭეშმარიტება, კეთილი, რომელიც ყველასათვის ერთი და იგივეა. დახე, ეთნოგრაფიული პოლიტიკა საიმედო არა ყოფილა. თქვენ იმას სხვების წინააღმდეგ ჰხმარობთ და შემდეგ კი ჰხედავთ, რომ იგი თქვენ წინააღმდეგვე იქცევა. გერმანელებს რომ ისე მაღლა აუწევიათ ეთნოგრაფიის დროშა, სჯერათ კი, რომ სლავებიც არ მივლენ და არ ახსნიან, თავიანთ ჯერადვე, საქსონიისა და ლუზიჩის სოფელთა სახელებს, არ გამოიძიებენ ვილცების ანუ ობოტრიტების კვალს და არ მოსთხოვენ ანგარიშს იმ აუარებელის ხალხის გაჟლეტისა და გაყიდვისათვის, ოთონებმა რომ დაჰმართეს იმათ წინაპრებს. ყველასათვის კარგია, ბევრის დავიწყება შეეძლოს.

დიდად მიყვარს ეთნოგრაფია; იშვიათის ინტერესის მეცნიერება გახლავთ; მაგრამ როგორც მინდა, რომ იგი თავისუფალი იყოს, ისევე მინდა, რომ იგი პოლიტიკის შესაფარდებელი არ შეიქმნას. ეთნოგრაფიაში, როგორც ყოველ სწავლაში, სისტემები იცვლება; წინსვლის პირობაც ეს გახლავს მაშ, ერნიც უნდა გამოიცვალნენ აგრეთვე სისტემებთან ერთად? სახელმწიფოთა საზღვრები მეცნიერების მოძრაობას უნდა მისდევდნენ მამულიშვილობა მეტად თუ ნაკლებად წინააღმდეგ ზრახვიან ბაასზედ უნდა იყოს დამოკიდებული. მამულიშვილს უნდა უთხრან: „თქვენ სცდებოდით; თქვენ თქვენს სისხლს ამა და ამ საქმის გულისთვის ჰღვრიდით; თქვენ თქვენი თავი კელტი გგონიათ, გერმანელი ხართო“. მერმე ათის წლის შემდეგ უნდა უთხრან: „თქვენ სლავი ხართო“. მეცნიერება რომ არ გაცრუვდეს, განვათავისუფლოთ იგი აზრის მოცემისაგან იმ სარკვევთა შესახებ, სადაც იმდენი ინტერესია აღძრული. დარწმუნებული იყავით, რომ თუ ვაიძულეთ იგი, დიპლომატიას ელემენტები აძლიოს, ბევრ პირფერობაში შევისწრებთ. იმას უმჯობესი საქმე აქვს: ჭეშმარიტება გულწრფელად მოვთხოვოთ.

(შემდეგი იქნება)

*) გერმანული ელემენტები დიდ-ძალი როდია, საფრანგეთის შეერთებულ სამეფოში, იმ დროს, როცა იგი ჰფლობდა ალზასს და მეცს, გერმანული ენა ჰბატონობდა მარტო ბრიტანიის კუნძულზედ, იმიტომ რომ ლათინურს არა ჰქონია იქ დაჭერილი კელტურის იდიომების ადგილი, როგორც ეს მოხდა გალლიაში.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

**პეკინი.** რუსეთის ელჩმა აცნობა ლიხუნგჩანგს, რომ პროვინციალურ მანდარინების დასჯის საქმეში რუსეთი მონაწილეობას არ მიიღებსო.

**პეკინი.** იაპონელებმა დაადგინეს ერთის თვის განმავლობაში თავისი ჯარი გაიყვანონ პეკინიდგან და მის მაგიერად ახალი ჯარი ჩააყენონ 2,000 კაცი, რომელთაგანაც 500 თითონ პეკინში იდგებაო.

**ირბიტი.** დასავლეთ ციმბირის მდინარეებზედ გემების ქირა სხვილს მეგემეებს შარშანდელ ფასებთან შედარებით 40°/₀ აუწევიათ, რადგანაც შარშან დიდი ზარალი მოუვიდათ.

**კაპშტადტი.** იუწყებიან, რომ ოთხი ახალი შემთხვევა კიდევ იყო შავის ჭირით ავადმყოფობისაო; ავადმყოფთაგან ორი თეთრია, ორი ადგილობრივი მცხოვრები. ერთი ადგილობრივი მცხოვრები კიდევ აღმოაჩინეს შავის ჭირით მკვდარი, რომლის ავადმყოფობის შესახებაც ადრე არავითარი ცნობა არ მიუღიათ ადგილობრივს მცხოვრებლებს შავის ჭირის წინაალმდეგ კიდევ უცრიან.

**კონსტანტინოპოლი.** ტყულია ის ცნობა, ვითომ განზრახვა ჰქონდეთ უსკიუბ-კიუსტენდელის ლიანდაგზედ 50,000 ოსმალელი ჯარის-კაცი ჩააყენონ. როგორც სარწმუნო ცნობებიდგანა სჩანს, მაკედონიის შესახებ განსაკუთრებულ სამხედრო ღონისძიებათა მიღებაზედ უარი უთქვამთ.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში მთავარ-სარდლად ნამყოფის უოლსლეისა და სამხედრო მინისტრად ნამყოფ ლანდსდოუნს შორის დიდი შეტაკება მოხდა. სამხედრო მმართვა-გამგეობის ნაკლს უოლსლეი პასუხის გებათა განაწილებას აწერდა; ლანდსდოუნი ამისი წინაალმდეგი იყო და მკვახედ უჩვენებდა, რომ შეცდომები სამხრეთ აფრიკის ომის წაყვანაშია და ეს შეცდომები-კი იმისი მიზეზია, რომ უოლსლეი თავისს მოვალეობას ღირსეულად ვერ უძღვებოდაო.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „როგორც საზოგადო მდგომარეობას, ისრე ადგილობრივს ჭრილობას ცვლილება არ ეტყობა. სიცხე 37,3° აქვს, მაჯა 78 უცემს, სუნთქვა 14 აქვს.

21 თებერვალი

**ბარანოვიჩი.** ოდესიდგან კაზატინამდე და კუვამდე დიდი თოვლებია. მატარებლები გზის გაწმენდას უცდიან და შემდეგ-და მიდიან. მართალია ის, რომ 9 და 10 თებერვალს მატარებლებმა დაიგვიანეს. ოდესსაში ნავთ-სადგურის პირად გზები სულ თოვლით იყო სავსე, მაგრამ ახლა უკვე გაწმენდილია. 10 თებერვალს ოდესსაში პურს ყიდულობდნენ, რომ, თუ შემთხვევა მოითხოვდა, მგზავრებისათვის გაეგზავნათ. შესანიშნავია ის, რომ თოვლი სამხრეთ მხარეს არის და პოლესკის გზებზედ-კი მშრალობაა.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, ვალმენიხის უფროსობით პოლკოვნიკის 16 თებერვალს 25 კაცისაგან შემდგარმა დამზვერმა რაზმმა რომელსაც 3 მოუკლეს და ერთი დაუჭრეს, აღმოაჩინა, რომ ლუნმუზანგუანიდგან დასავლეთით, აკსულინის გასავლიდგან ასე 18 კილომეტრის მანძილზედ დასავლეთით, დილის კედლის მახლობლად და აგრეთვე ვუტაისთან ლუნმუზანგუანიდგან სამხრეთ-დასავლეთით 50 კილომეტრის მანძილზედ დიდი ჯარები სდგასო. შენსიმიაც საკმაოდ დიდი ჯარი სდგას. პოლკოვნიკი ლედებურგი დღეს დილით იქანა 4 როტით პაოტინფუში გაგზავნილი, რომ გასავალი კედლამდე მტრისაგან სრულიად გაეწმინდა და ხელში სჭეროდა.

**კრადოკი.** ბურებმა პატარა ქალაქი პირსტონი აიღეს, რომელიც კრადოკიდგან 40 მილის მანძილზედ მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით.

**ბერლინი.** საიმპერიო სეიმი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვაში არიან. შედლერი (ცენტრიდგან) უჩვენებს, თუ იმპერატორის ინგლისში წასვლამ, შავის არწივის ორდენის რობერტის მიმართ წყალობამ და სხვა ზედ მოყოლილმა გარემოებამ რა უკმაყოფილობის გრძნობა გამოიწვია ყველა როგორ შეაშფოთა. ორატორი თხოულობს აცნობონ; ინგლისის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა თუ არა? რუსეთის შესახებ გერმანია იმას უნდა სცდილობდეს, რომ კავშირი მასთან გაწყვეტილ არ იქმნეს. რუსეთის „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთის" („Торгово промышленной газеты") კილოც დიდად საეჭვოდა ჰხდის მართლა სწორედა ჰმოქმედებს ტელეგრაფი რუსეთთანა თუ არა შტოლბერგვერნიგოროდეც (კონსერვატორია) ინგლისთან დამოკიდებულებათა შესახებ ამავე კილოთი ლაპარაკობს და რუსეთის აღნიშნულ წერილის მნიშვნელობის განმარტებასა თხოულობს. ბიულოვი ამაზედ უპასუხებს, რომ იმპერატორის ინგლისში წასვლას არც არავითარი პოლიტიკური და არც სასახლის კარის ჩვეულებათა ხასიათი არა ჰქონია და იგი იყო მხოლოდ ადამიანური საქციელიო, „მაგრამ თუ რომ ამ შემთხვევისა გამო ინგლისში სურვილი აღეძრათ გერმანიასთან მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულება ჩამოეგდოთ, ამას არავითარი პოლიტიკური საფუძველი არა აქვს ეს სურვილი ბოროტად მოგვეხმარა. ჩვენც მხოლოდ ეს შეგვიძლიან ვისურვოთ, რომ გერმანია და ინგლისი მშვიდობიანადა და თანაბარის უფლებებით ჰმოქმედებდნენ. ინგლისთან დამოკიდებულებაში პოლიტიკურად არავითარი ცვლილება არ მომხდარა. თუ რომ იმპერატორის ინგლისში წასვლამ გზა გაუხსნა იმას, რომ ინგლისთან კეთილი და ნორმალური დამოკიდებულებანი განგვეგრძო, ეს ორისავე მხარესათვის, როგორც საქვეყნო მშვიდობიანობისათვისაც, მხოლოდ სასარგებლოა, სხვა არაფერი. იმ გარემოებას, რომ იმპერატორმა რობერტსს ორდენი უბოძა, არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც რობერტსი პოლიტიკურს პირადობას არ წარმოადგენს. დეპუტატმა შედლერმა სურვილი განაცხადა, რომ ტელეგრაფის შესახებ რუსეთში ერთგულად ვიზრუნო. ჩემის აზრით, სხვა რჩევა ძნელი დასასახელებელი-ღაა, რომელსაც ჩემ შესახებ ნაკლები საბუთი ექმნებოდა. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენის პოლიტიკის ერთს უმთავრესს მიზანს შეადგენს ის, რომ რუსეთთან მეზობლური, მეგობრული დამოკიდებულება დავიცვათ („ვაშა"! ისმის მარჯვნივ). ამ პალატის წინაშე არასოდეს არც გამომიცხადებეა და არც თუ რაიმე მომიქმედნია ისეთი, რომ არ დამენახვებინოს, თუ ამ ორს იმპერიას რა დიდი და თვალ-საჩინო ინტერესები აკავშირებს, რომლებიც არსებითად არაფრით განირჩევიან, მაგრამ ამ მხრივაც სრული თანაბრობა არა გვსურს. (მარჯვნივ: „სრულიად მართალია"!). გერმანია უცხო სახელმწიფოებში მეტად არა ჰსაჭიროებს, ვიდრე სხვები ჩვენში, (დიდი „ვაშას" ძახილია მარჯვნივ და მარცხნივ) პოლიტიკურად იქმნება თუ ეკონომიურად. („სრულიად მართალია! ვაშა"!) რაც შეეხება რუსეთის გაზეთის აღნიშნულს წერილს, ეჭვი არ არის, იქ ჩემ შესახებ დახარჯულს მარგალიტებზედ მე არავითარს პასუხს არ მივცემ („ვაშა"!) ჯერ ერთი იმიტომ, რომ, ჩემის ღრმა რწმენით, მეგობარ მთავრობათა შორის აზრთა და რწმენათა უთანხმოება დიპლომატიურად უნდა იქმნეს მოსპობილი და არა პუბლიცისტურადა და მეორეც, ჩემდა სასიქადულოდა და სამსახურად მიმაჩნია, როდესაც საზღვარ-გარეთიდგან თავს მესხმიან და მებრძვიან, („ვაშა ძლიერ კარგია"!) რადგანაც გერმანიის სასოფლო მეურნეობა ყოველს შემთხვევაში ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია. დიდ სახელმწიფოთა ეკონომიური დამოკიდებულებანი, თუ რომ იგინი ურთიერთშორის გაფრთხილებისა და პატივისცემის საფუძველზედ არიან დამყარებულნი. საკეთილონი არიან, მაგრამ თითოეულს მთავრობას უფლება აქვს და მოვალეობაც სასტიკად ასწონდასწონოს და გაითვალისწინოს, თუ ამ მხრივ მას რამდენად შორს შეუძლიან შეტოპვა- თავისს ინტერესების დაცვა და მხნედ მფარველობა სამტროს დღევანდელ სავაჭრო მეგობართა შორის სრულიადაც არრას შეიცავს; ამისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ მეგობარნი სახელმწიფონი ჰომავალშიაც მეგობრებად დარჩებიან. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ შეთანხმება შესაძლებელია, მაგრამ შეთანხმება ისე-კი, რომ სრული ურთიერთობა და დამოკიდებულობა საკუთარის ქვეყნის საფუძვლად დაედება (მარჯვნივ „ვაშა"!). ერთის რომელისამე მხრიდგან, სამხრეთი იქნება თუ ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, მართლა რომ დარწმუნებულნი იყვნენ და მოელოდნენ კიდეც, რომ რომელსამე სახელმწიფოს ყოველსავე პირობებში განურჩევლად უკან გავყვებით, ეს ხომ მეგობრობა-კი არა ვასსალური დამოკიდებულება იქნებოდა (მარჯვნივ: „სრულიად მართალია"!). მაგრამ ჩვენ ასეთს ვასსალურს პოლიტიკას ვერავინ დაგვაკისრებს, თუ რომ ჩვენს თავს ჩვენვე არ ვუღალატებთ („ვაშა"!). გერმანიის პოლიტიკა სიყვარულითა და სიძულვილით კი არა ხელმძღვანელობს, მძიმედ აწონილ დაწონილ სახელმწიფო ინტერესებით. გერმანიის პოლიტიკას აზრად ისა აქვს, რომ კეთილი და მეგობრული დამოკიდებულებანი დაიცვას ყველა სახელმწიფოსთან, რომელსაც-კი ჩვენთან მეგობრულადა და მშვიდობიანად ცხოვრება ჰსურს, მაგრამ იმ პირობით, რომ პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა შეჰრჩეს, რომლის უფლებაც გერმანიის ერმა თავისის ბრძოლით, მუშაობითა და მაღალის კულტურით უტყუვრად მოიპოვა." კლინკოვშტრემი (კონსერვატორია) იმ აზრისაა, რომ გერმანიას არავითარი საფუძველი არა აქვს რუსეთს შეუშინდეს. ეკონომიურად გერმანია საუცხოვო მდგომარეობაშია და ამასთანავე ბევრი მხრივ რუსეთის გაფრთხილება და ჩაფიქრებაც შეუძლიან. კანიცი (კონსერვატორია) ამტკიცებს, რომ არ შეიძლება ვუსაყვედუროთ და ვუკიჟინოთ, თუ რუსეთი თავისს თავს იცავსო. შემდეგს კამათში ზოგიერთი ორატორები გერმანიას ინგლისის მიმართ დამოკიდებულებათა გამო ჰკიცხავდნენ. ბასსერმანმა (ნაციონალ-ლიბერალია) შეჰნიშნა, რომ ბიულოვის სიტყვამ სრულიად განფანტა ის მოჩვენება, ვითომ რუსეთის წინაალმდეგ გერმანიას რაღაც დიდი შეთანხმება ჰქონოდეს ინგლისთანაო. რიხტერი უსაყვედურებს საიმპერიო კანცლერსა, რომ იგი ჯეროვანად არ უფარდებს ყოველივეს თავისს ბოლო დროის პროგრამებს, როგორც საერთაშორისო ისე ეკონომიურ დამოკიდებულებათა საქმეში. ბიულოვმა უპასუხა, რომ სოფლის მეურნეობის გაჭირვებული მდგომარეობა აუცილებლადა ჰხდის პურის ბაჟს მოუმატოს, მაგრამ ეს წამატებაც განსაზღვრულია იმითი, თუ მრეწველობა რამდენად ადვილად გადის გარეთ და მუშათათვის ცხოვრების საკეთილო პირობანი რამდენად დაცულ არიანო. სიბაჟო გარდასახადთა მომატების რაოდენობის შესახებ საკავშირო საბჭოს ჯერ არა დაუდგენიარა.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეიმ კაბინეთის ყველა წევრი თავისს თანამდებობაზედ დაამტკიცა.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში სამედრო უწყების ნაკლთა შესახებ მოლაპარაკების დროს ჰერცოგი დევონშირისა და ლორდი სოლსბერი ლანსდოუნის მიერ გუშინ წარდგენილს საბუთებს იცავდნენ; უკანასკნელი იმ აზრს ემხრობოდა გადაჭრით, რომ გამარჯვება მხოლოდ ჯარის-კაცთა ვარგისობაზეა დამოკიდებულიო. უოლსლეიმ ლანსდოუნის სიტყვის გამო თავისი სინანული განაცხადა და მასზედ პასუხის გება სხვა უფრო შორეულ შემთხვევისათვის გადასდო. სამხედრო სამინისტროს საბუთებითა და ცნობებით, თებერვლის განმავლობაში ინგლისელებს დაუკარგავთ სამხრეთს აფრიკაში, დაჭრილებით, რომლებიც სამშობლოში იქმნენ გაგზავნილნი, სულ 95 ოფიცერი და 2,274 ჯარის-კაცი. ომის დაწყებიდგან დღემდის სულ დახოცილა: 664 აფიცერი და 13,137 ჯარის კაცი, ხოლო დაჭრილებით ერთად, რომლებიც ხელახლად წავიდნენ, იყო 685 აფიცერი და 16,174 ჯარის-კაცი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ჰბრძანა, ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის დასაცველად ახლად შემდგარს ოლქს სასაზღვრო დარაჯის ცალკე კორპუსისას ეწოდოს ზაამურისად. სასაზღვრო დარაჯის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი სასაზღვრო დარაჯის ზაამურის ოლქის უფროსად იქმნა დანიშნული.

საერობო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის ბიულეტენი: „ღამე კარგად გაატარა. სუნთქვა და ყლაპვა თავისუფალი აქვს, იარას ჭრილობის გარშემო მცირედი სიკეთე ეტყობა. სიცხე 37,/° აქვს, მაჯა 78 უცემს, სუნთქვა 14; თვით გრძნობა საკმაოდ კარგი აქვს.

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში გასახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

24 თებერვალს.

ლავრენტი გაბუნიასი, რომელსაც ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ანტიფორ ბარდაველიძისა—კაცის დაჭრა ბრალდება.

ივანე მამულაშვილისა—კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

მიხეილ თავართქილაძისა, რომელსაც ქურდობა ბრალდება.

ვლადიმერ გატცუევისა და მიხეილ უსპენსკისა, რომელთაც წერილობით ცილის დაწამება ბრალდებათ.

3 მარტს:

სიკო სულიკაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-2 ნაწილის 1484 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

სიმონ მახარაძისა—ჩუმად არაყის გამოხდა ბრალდება.

ვიქტორი ზვიაძისა—ყაჩაღობა ბრალდება.

სიმონ ბელაშვილისა, რომლსაც დედის გალახვა ბრალდება.

---


## განცხადებანი

### ისყიდება

მე-10 ნაწილში ვოდოპროვოდის ქუჩაზედ, № 153-ში ერთ-სართულიანი **სახლი** 24 ოთახით და ერთის მაღაზიით, საკუთარს მიწაზედ, 327 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. სახლი ქუჩის პირად სიგრძით 17 საჟენია. მსურველს შეუძლიან ნახევარიც იყიდოს.

ჰკითხონ სახლის პატრონს მიხეილ ჭიჭინაძეს. (1—37—1)

### ქ-ნი ბენკლევსკისა

აძლევს გაკვეთილებს

კონცერტის ციტრაზე.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, სამ საათიდგან 5 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 102. (6—26—5).


Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 го Февраля 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე